ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲗᲐ

შპს „სიო“

ჩვენ ვზრუნავთ
თქვენს მომავალზე !

www.Sio.ge

შპს „სიო"

კოლეჯი შპს სიო წარმოადგენს იმერეთის რეგიონში, კერძოდ, ქ. ქუთაისში მოწინავე პროფესიულ სასწავლებელს, რომელიც დაარსდა 2001 წელს და დღემდე ლიდერობს შრომის ბაზარზე. იგი ავტორიზებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ.

კოლეჯი სიო ემსახურება შიდა და გარე ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური პროფესიული კადრების მომზადებას, სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებას, პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას და პერსონალის კვალიფიკაციის

კოლეჯი ამზადებს უმაღლესი პროფესიული განათლების მქონე სპეციალისტებს საექთნო საქმეში. მათ ეძლევათ სახელმწიფო დიპლომი, რომელსაც იყენებენ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. კურსდამთავრებულები კონკურენტუნარიანნი არიან ნებისმიერ სამედიცინო დაწესებულებაში, ამიტომ მათზე მოთხოვნა ყოველწლიურად იზრდება.

კოლეჯი შპს სიო გამორჩეულია რეგიონში კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებლით, რაც განპირობებულია რეალურ ბიზნესთან მყარი ურთიერთთანამშრომლობით.

კოლეჯში სწავლებას უძღვებიან მაღალკვალიფიციური პროფესიული მასწავლებლები, რომლებსაც აქვთ საზღვარგარეთ მუშაობის გამოცდილება.

კოლეჯის სტუდენტებს საშუალება ეძლევათ, გერმანული გამოცდილების გაზიარების მიზნით, პრაქტიკა გაიარონ ქალაქ ბერლინში.

ზოგადი ინფორმაცია

სახელწოდება: შპს სიო

საქმიანობის სამართლებრივი ფორმა: შპს

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: ქ.ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის 21/ა

საფოსტო ინდექსი: 4600

ტელეფონი : 599-94-18-77;

ვებ გვერდი: www.Sio.ge

ელექტროული ფოსტა: siosiordia@gmail.com

Facebook: საზოგადოებრივი კოლეჯი „სიო“

www.facebook.com/Siocollage/

დირექტორი: გიორგი სიორდია

დირექტორის მისალმება

გილოცავთ სამედიცინო კოლეჯ სიო-ს სტუდენტობას !

წლევანდელი ნაკადი ეროვნული გამოცდების გარდა, მოტივაციური გასაუბრებით ხართ შერჩეულნი. ე.ი. უკეთესები ბრძანდებით საუკეთესოთა შორის. მჯერა არ შემცდარა მიმღები კომისია და გაამართლებთ ჩვენს მოლოდინს. ჩვენ მზად ვართ ინოვაციურ მოთხოვნათა შესაამისად მოგცეთ ცოდნა იმ პროფესიისა, რომელიც შეგნებულად აირჩიეთ და არც შემცდარხართ. შევეცადეთ მსურველისაგან შეგვერჩია ისეთი სტუდენტები, რომელთაც აქვთ უნარი ავადმყოფის მიმართ ემპათიის გრძნობის და დახმარების. სამედიცინო პროფესიის დაუფლება არამარტო ფინანსური შემოსავლისთვის არის საჭირო, არამედ თქვენ ისწავლით ხელობას, რომელიც ნებისმიერ დროს და ადგილას გამოგადგებათ ადამიანის ჯანმრთელობის სადარაჯოზე. კოლეჯი შესაძლებლობას აძლევს ნებისმიერი ასაკის მსურველებს, რომელთაც უნდათ დაეუფლონ უმაღლესი კვალიფიკაციის საქთნო საქმეს. ამიტომ სწავლას ვხდით ხელმისაწვდომს მთელი სიცოცხლის მანძილზე და ვპასუხობთ შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებს .

დირექტორის მისალმება

ჩვენს კოლეჯში თქვენზე ზრუნავს წარმატებასა და პროფესიონალიზმზე ორიენტირებული გუნდი, თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცით და დამსაქმებლებთან მრავალმხრივი პარტნიორობით. დაგხვდებათ ექიმ-მასწავლებლები, რომლებიც იზრუნებენ არა მარტო თქვენს სწავლებაზე , არამედ თქვენს დახმარებაზე თავიანთი პროფილის შესაბამისად. ხოლო პრაქტიკას გაივლით თანამედროვე სამედიცინო დაწესებულებებში მაღალკვალიფიციური ექთნების ხელმძღვანელობით. რაც მთავარია გაერკვევით ვის, სად, როგორ მიმართოთ თქვენი და თქვენი ოჯახის წევრების ავადმყოფობის დროს. დარწმუნებული ვარ ახლანდელი სტუდენტები ღირსეული ცვლა იქნება ექთნების დიდი ოჯახის. თქვენ ხომ უმაღლესი კვალიფიკაციით დაასრულებთ ჩვენს პროფესიულ სასწავლებელს, რაც დიდ პასუხისმგებლობასთანაა დაკავშირებული. ყველაზე ჰუმანური, ელიტარული პროფესიის ადამიანები გახდებით 3 წლის შემდეგ.

ჩვენ გამოვირჩევით განათლების ხელმისაწვდომობით, განვითარებისაკენ სწრაფვით, სამართლიანობით, პიროვნებაზე ორიენტირებულობით და პროფესიონალიზმით.

შპს „სიო“-ს მისია, ხედვა და ღირებულებები

მისია

შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად შიდა და გარე ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება და გადამზადება, როგორც სამედიცინო ასევე სხვა პროფესიულ სფეროებში, ადამიანური და მატერიალური რესურსების მუდმივი განვითარებით, მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლების შესაძლებლობის ხელშეწყობით და რეალურ ბიზნესთან მყარი ურთიერთეფექტური თანამშრომლობის გზით.

ხედვა

2027 წლისთვის ვიყოთ ძლიერი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება იმერეთის რეგიონში, დაწესებულების წარმატებაზე და პროფესიონალიზმზე ორიენტირებული გუნდით, თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცით და დამსაქმებლებთან მრავალმხრივი პარტნიორობით.

ღირებულებები

- განათლების ხელმისაწვდომობა;
- განვითარებისკენ სწრაფვა;
- სამართლიანობა;
- პიროვნებაზე ორიენტირებულობა;
- პროფესიონალიზმი;

პროგრამის დასახელება: საექთნო საქმე

პროგრამის განხორციელების ადგილი: ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის 21/დ

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე :

- „უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში/ Higher Vocational Qualification in Nursing.“
- **მიზანი:** უზრუნველყოს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი, ზოგად მოვლაზე პასუხისმგებელი ექთანი.
- **დაშვების წინაპირობა** - სრული ზოგადი განათლება
- **დასაქმების სფერო და შესაძლებლობები** საექთნო საქმეში კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ჯანდაცვის სფეროში, სხვადასხვა პროფილის სამედიცინო დაწესებულებებში, შინმოვლის სფეროში, სხვა ტიპის ორგანიზაციებში, რომლებიც საჭიროებს საექთნო მომსახურებას.
- **მოცულობა და ხანგძლივობა :** საექთნო განათლების საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს 180 კრედიტის რაოდენობის ზოგად და პროფესიულ მოდულებს. ზოგად მოდულთა კრედიტების რაოდენობა შეადგენს 9 კრედიტს, ხოლო პროფესიული მოდულების კრედიტების რაოდენობა კი 171. საექთნო საქმეში კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 180 კრედიტი. მოდულები კლასიფიცირებულია შემდეგნაირად: ზოგადი მოდულები - 9 კრედიტი, თეორიული სწავლება საბაზო მეცნიერებები - 24 კრედიტი, თეორიული სწავლება საექთნო საქმე - 45 კრედიტი, თეორიული სწავლება სოციალური მეცნიერებები - 6 კრედიტი, პრაქტიკული სწავლება - 6 კრედიტი, კლინიკური სწავლება - 90 კრედიტი
- **სწავლება-სწავლის პროცესის ხანგრძლივობა არის სამი წელი.**

„მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. ქართული ენა A2 15 კრედიტი, ქართული ენა B1 15 კრედიტი, ქართულ ენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის

პროფესიული პროგრამის დასახელება: საექთნო საქმე

„უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმე“-ში არის მოდულური საგანმანათლებლო პროგრამა. კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ჯანდაცვის სფეროში სხვადასხვა პროფილის სამედიცინო დაწესებულებებში და სხვა ტიპის ორგანიზაციებში რომლებიც საჭიროებს საექთნო მომსახურეობას. საზოგადოებრივ კოლეჯ „სიო“-ს პროფესიონალთა გუნდი და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო ბაზა საშუალებას გვაძლევს მოვამზადოთ მაღალ კვალიფიციური კადრები. ჩვენს სტუდენტებს ეძლევათ პრაქტიკული უნარჩვევების გავლის შეწსაძლებლობა გერმანიაში. გამოვირჩევით კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებლებით.

კვალიფიკაციის დონე: V

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

დაფინანსების ტიპი: პროგრამა სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ

სწავლის ხანგრძლივობა: 3 წელი

პროგრამის დასახელება: მასაჟის თერაპია

პროგრამის განხორციელების ადგილი: ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის 21/დ

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე:

- მასაჟის თერაპია / Massage Therapy

- **მიზანი:** უზრუნველყოს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი, ზოგად მოვლაზე პასუხისმგებელი ექთანი.
- **დაშვების წინაპირობა** - სრული ზოგადი განათლება

ასაკი: არანაკლებ 18 წელი

- **დასაქმების სფერო და შესაძლებლობები**

შეუძლია იმუშაოს სარეაბილიტაციო ცენტრებში და კლინიკებში, სადაც პაციენტებს სჭირდება კუნთოვანი ტკივილის შემსუბუქება, ტრავმის შემდეგ აღდგენა ან ქრონიკული პრობლემების მართვა. ასევე მოთხოვნადია სპორტულ სფეროში — ფიტნეს კლუბებსა და სპორტულ გუნდებთან, სადაც სპორტული მასაჟი გამოიყენება დატვირთვის შემდეგ აღდგენისა და ტრავმების პრევენციისთვის.

- **მოცულობა და ხანგძლივობა :** მასაჟის თერაპიის საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს 83 კრედიტის რაოდენობის ზოგად და პროფესიულ მოდულებს. სასწავლო პროგრამა გადანაწილებულია 60 კვირაზე.

„მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. ქართული ენა A2 15 კრედიტი, ქართული ენა B1 15 კრედიტი, ქართულ ენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის

პროფესიული პროგრამის დასახელება: მასაჟის თერაპია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრაი მიზანია, დანერგოს ისეთი პროფესიული პროგრამა, რომელიც როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის მოამზადებს კონკურენტუნარიან კადრებს, რომლებიც შეძლებენ, აღიჭურვონ ყველა იმ საჭირო თეორიული ცოდნით და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით, რაც განსაზღვრულია პროფესიის სტანდარტით.

კვალიფიკაციის დონე: V

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

ასაკი - არანაკლებ 18 წელი

დაფინანსების ტიპი: პროგრამა სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ

სწავლის ხანგრძლივობა: **60** კვირა

პროგრამის დასახელება: ადმინისტრაციული სერვისები

პროგრამის განხორციელების ადგილი: ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის 21/დ

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე:

- ადმინისტრაციული სერვისები/Administrative Services

- **მიზანი:**

  პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია უზრუნველყოფს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრის მომზადებას

- **დაშვების წინაპირობა** - სრული ზოგადი განათლება

- **დასაქმების სფერო და შესაძლებლობები**

  ადმინისტრაციული სპეციალისტი შეიძლება დასაქმდეს როგორც საჯარო ასევე კერძო დაწესებულებებში, ორგანიზაციის შესაბამისი ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულის სპეციალისტად, ხელმძღვანელის თანაშემწედ.

- **მოცულობა და ხანგძლივობა :** მასაჟის თერაპიის საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს 70 კრედიტის რაოდენობის ზოგად და პროფესიულ მოდულებს. სასწავლო პროგრამა გადანაწილებულია 45 კვირაზე.

„მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. ქართული ენა A2 15 კრედიტი, ქართული ენა B1 15 კრედიტი, ქართულ ენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის

პროფესიული პროგრამის დასახელება: მასაჟის თერაპია

თანამედროვე სამუშაო გარემოში ეფექტური ადმინისტრაციული სერვისები ორგანიზაციების წარმატებისთვის მეტად მნიშვნელოვანია. როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში იზრდება მოთხოვნა მაღალკვალიფიციურ ადმინისტრაციულ თანამშრომლებზე, რომლებსაც ექნებათ ცოდნა დოკუმენტაციის მართვის, კორპორატიული კომუნიკაციის, საოფისე ტექნოლოგიებისა და ეფექტური სამუშაო პროცესების ორგანიზების შესახებ.

პროგრამის მიზანია შექმნას კონკურენტუნარიანი პროფესიული კადრები, რომლებიც დააკმაყოფილებენ შრომის ბაზრის მოთხოვნებს

კვალიფიკაციის დონე: IV

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

დაფინანსების ტიპი: პროგრამა სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ

სწავლის ხანგრძლივობა: 45 კვირა

მოკლევადიანი მომზადების პროგრამა:
შინმოვლის სპეციალისტი

გახდი პროფესიონალი შინმოვლის სპეციალისტი მოკლე დროში!
გაინტერესებს ადამიანის დახმარება და გსურს სწრაფად შეიძინო ახალი პროფესია?
მაშინ ჩვენი მოკლევადიანი შინმოვლის სპეციალისტის პროგრამა შენთვისაა.
პროგრამის უპირატესობებია:

- მოკლე დროში,რომელიც გაძლევს საშუალებას სწრაფად დაეუფლო საჭირო უნარებს.
- პრაქტიკული მეცადინეობა, რომელიც მიმდინარეობს გერმანული გამოცდილებით.
- სახელმწიფო სერტიფიკატი, რომელსაც მიიღებ პროგრამის დასრულების შემდეგ ორენოვანია და აღიარებულია დამსაქმებლების მიერ.

მოკლევადიანი გადამზადების პროგრამა:

სააღმზრდელო პროცესის წარმართვა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში

გსურს განაახლო შენი პროფესიული უნარები თანამედროვე მიდგომებით?

მაშინ შენზეა მორგებული მოკლევადიანი გადამზადების პროგრამა „ სააღმზრდელო პროცესის წარმართვა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში“.

პროგრამის უპირატესობებია:

• მოკლე ვადა - ინტენსიური კურსი, რომელიც გაძლევს საშუალებას სწრაფად დაეუფლო სააღმზრდელო პროცესის წარმართვის თანამედროვე მეთოდებს.

• პრაქტიკული გამოცდილება - სწავლების პროცესში მიღბული პრაქტიკული ცოდნა დაგეხმარება რეალურ სამუშაო გარემოში.

• კვალიფიკაციის ამაღლება - პროგრამის დასრულების შემდეგ მიიღებ სახელმწიფო ორენოვან სერტიფიკატს

მოკლევადიანი პროგრამა განკუთვნილია მომქმედი აღმწრდელებისათვის, რომლებსაც სურთ ფეხი აუწყონ თნამედროვე სტანდარტებს.